კომპანიამ "სოკარ ენერჯი ჯორჯია" შიდა ქართლში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საკვებ პროდუქტები გადასც

28 აპრილი 2020

კომპანიის დირექტორი, მაჰირ მამედოვი შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ხოჯევანიშვილს შეხვდა და 300 ბენეფიციარზე განკუთვნილი სასურსათო ყუთები გადასცა. კომპანიის მიერ მიწოდებულ საკვებ პროდუქტებს ოჯახებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები გადასცემენ.
,,კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, სხვადასხვა კომპანიების მიერ გამოჩენილი ინიციატივის ფარგლებში უკვე ასობით ადამიანს გადავეცით სურსათი და პირველადი საჭიროების ნივთები. ასეთ დროს კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ კომპანიას და ამ კონკრეტულ შემთხვევაში “სოკარ ენერჯი ჯორჯიას" გამოჩენილი სოციალური პასუხისმგებლობისთვის" - აღნიშნა რწმუნებულმა.
ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთანავე, კომპანიამ StopCov ფონდში 200 000 ლარი გადარიცხა